



განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა
საკონტაქტო ინფორმაცია: (+995 32) 2 72 22 22;
განცხადების N: 01-01241843306 განცხადების თარიღი: 02.07.2024
ხელმოწერი: კახა კალაძე თანამდებობა: მერი

განცხადება/რომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
თავისუფალი განცხადება

მოთხოვნის ტექსტი

2024 წლის 28 ივნისის N24.1126.1280 განკარგულებით მონონებული მთავრობის თანხმობები საკრებულოში გადასაგზავნი

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



წერილის ნომერი: **01-01241843306**
თარიღი: **02/07/2024**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი ნომბრის N01240642175-67; N01240514101-67; N01241512764-67; N0124157780-67; N01241543-67; N01241652428-67; N0124173531-67; N0124018750-67; N01241414185-67; N01241652259-67; N01241713521-67; N0124173574-67; N01241484228-67; N01232583276-67 განცხადებით ქ. თბილისის ტერიტორიაზე დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დამტკიცებული ფუნქციური ზონის ცვლილება. აღნიშნული საკითხები „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-9 მუხლის მე-9, მე-10, მე-12 პუნქტების თანახმად, განხილულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ და მოწონებული იქნა 2024 წლის 28 ივნისის N24.1126.1280 განკარგულებით.

„ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-9 მუხლის მე-12 და მე-13 პუნქტების შესაბამისად, განსახილველად გიგზავნით, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს.

დანართი:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 28 ივნისის N24.1126.1280 განკარგულება - 13 ფურცელი;
- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის საკრებულოს დადგენილების პროექტი - 13 ფურცელი;
- „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების

შეტანის თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განმარტებითი ბარათი -13 ფურცელი;

4. პრეზენტაცია 40 - ფურცელი

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 24.1126.1280 28 / ივნისი / 2024 წ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა განიხილავს შემდეგ საკითხებს:

ა) 2024 წლის 4 მარტის N01240642175-67 განცხადებით ბაადურ ჯინჭარაძემ (პ/ნ 01024050001) მოითხოვა ქალაქ თბილისში, არსენ ოქროჯანაშვილის I შესახვევი N8-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.12.01.445) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა;

ბ) 2024 წლის 20 თებერვლის N01240514101-67 განცხადებით გიორგი ბენდელიანმა (პ/ნ 01001029584) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.16.014.446) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა;

გ) 2024 წლის 30 მაისის N01241512764-67 განცხადებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, გლდანში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.13.486.002) სატყეო ზონის სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

დ) 2024 წლის 5 ივნისის N0124157780-67 განცხადებით ნინო ფარცხალაძემ (პ/ნ 01030005382) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ დილოში, ნიკო ბურის ქ. N22ა-ში, ქალაქ თბილისში, სოფელ დილოში, ნიკო ბურის ქ. N22-ში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: N01.72.14.038.480; N01.72.14.092.868) ნაწილზე, ასევე, ქალაქ თბილისში, სოფელ დილოში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.038.134) მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება;

ე) 2024 წლის 2 ივნისის N01241543-67 განცხადებით ნიკოლოზ ბაჩიაშვილმა (პ/ნ 01011026112) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სამრეწველო დასახლება, მე-2 ქუჩა, მე-3 გასასვლელი N3-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.11.025.047) მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება;

ვ) 2024 წლის 13 ივნისის N01241652428-67 განცხადებით სსიპ-ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.014.411) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

ზ) 2024 წლის 21 ივნისის N0124173531-67 განცხადებით ლუხუმი დიდებაშვილმა (პ/ნ 31001023256) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სანავარდოს ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული მიწის



ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.13.008.078) მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით ცვლილება;

თ) 2024 წლის 18 იანვრის N0124018750-67 განცხადებით ხათუნა ნებიერიძემ (პ/ნ 01027048125) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, III მიკრორაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.39.026.007) საცხოვრებელი ზონა 6-ისა (სზ-6) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული გამწვანებისა (შიდაკვარტალური) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

ი) 2024 წლის 20 მაისის N01241414185-67 განცხადებით ანა ჩხაიძემ (პ/ნ 01008049833) მოითხოვა ქალაქ თბილისში, ლეო და ნოდარ გაბუნების II შესახვევი N1-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.02.007.013) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა;

კ) 2024 წლის 13 ივნისის N01241652259-67 განცხადებით სსიპ-ქონების მართვის სააგენტომ მოითხოვა ქალაქ თბილისში, თემქის დასახლების IV კვარტალის კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.03.007.613) სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

ლ) 2024 წლის 19 ივნისის N01241713521-67 განცხადებით ნანა მამულაძემ (პ/ნ 61003006615) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სოფელ პატარა ლილოში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.08.03.543) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სასოფლო-სამეურნეო ზონით (სოფზ) ცვლილება;

მ) 2024 წლის 21 ივნისის N0124173574-67 განცხადებით ლუხუმი დიდებაშვილმა (პ/ნ 31001023256) მოითხოვა ქალაქ თბილისში, სანავარდოს ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.13.008.078) მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონით ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა;

ნ) 2024 წლის 27 მაისის N01241484228-67 განცხადებით დავით ჩახტაურმა (პ/ნ 01011023976) მოითხოვა ქალაქ თბილისში, თენგის შეშელიძის ქუჩა N1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.19.001.026) სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება;

ო) 2023 წლის 15 სექტემბრის N01232583276-67 განცხადებით შპს „სპორტმშენსერვისმა“ (ს/ნ 204878542) მოითხოვა ქალაქ თბილისში, დიღმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.555) სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დადგინდა:

ა) ქალაქ თბილისში, არსენ ოქროჯანაშვილის I შესახვევი N8-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.12.01.445) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა.

N72.12.01.445 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მრავალფუნქციური შენობის განთავსება.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, N72.12.01.445 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3).

აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება N72.12.01.985, N72.12.01.407, N72.12.01.984, N72.12.01.765, N72.12.01.766, N72.12.01.165, N72.12.01.654, N72.12.01.231, N72.12.01.733, N72.12.01.241, N72.12.01.243, N72.12.01.458, N72.12.01.457 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 19 მარტის N18-01240793501 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, რომ საპროექტო არეალსა და მიმდებარე ტერიტორიაზე მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3).

შემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, არსენ ოქროჯანაშვილის I შესახვევი N8-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.12.01.445), ასევე, N72.12.01.985, N72.12.01.407, N72.12.01.984, N72.12.01.765, N72.12.01.766, N72.12.01.165, N72.12.01.654, N72.12.01.231, N72.12.01.733, N72.12.01.241, N72.12.01.243, N72.12.01.458, N72.12.01.457 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა მისაღებია;

ბ) ქალაქ თბილისში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.16.014.446) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა.

N01.14.16.014.446 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს თანამედროვე ტიპის საოფისე შენობის მშენებლობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 15 მარტის N01240753477 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონა (ლსზ).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტო, 2024 წლის 14 ივნისის N61-01241663280 წერილით, თანახმაა მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილებაზე, იმ პირობით, რომ აუქციონზე შეძენილ ქონებაზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.270) განხორციელდება სრულ საპრივატიზებო ღირებულებასა და აუქციონის დროისთვის ამავდ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) გათვალისწინებით დადგენილ ღირებულებას შორის სხვაობის გადახდა.

შემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.16.014.446) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და ლანდშაფტურ-

სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა მისაღებია, იმ პირობით, რომ აუქციონზე შეძენილ ქონებაზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.270) განხორციელდება სრულ საპრივატიზებო ღირებულებასა და აუქციონის დროისთვის ამავე მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) გათვალისწინებით დადგენილ ღირებულებას შორის სხვაობის გადახდა;

გ) ქალაქ თბილისში, გლდანში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.13.486.002) მოთხოვნილია სატყეო ზონის სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა.

N01.72.13.486.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სარგებლობის უფლებით გადაცემა, შემდგომში, ძალსაშენის მოწყობისთვის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 18 ივნისის N01241702881 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა რომ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სატყეო ზონა.

შემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გლდანში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.13.486.002) სატყეო ზონის სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა მისაღებია;

დ) ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, ნიკო ბურის ქ. N22ა-ში, ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში, ნიკო ბურის ქ. N22-ში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: N01.72.14.038.480; N01.72.14.092.868) ნაწილზე, ასევე, ქალაქ თბილისში, სოფელ დილომში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.038.134) მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საკადასტრო საზღვრების გასწორება.

ვინაიდან საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, ერთიან არეალზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა (სზ), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია ფუნქციური ზონის ცვლილება განხორციელდეს საცხოვრებელი ზონით (სზ).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2024 წლის 15 ივნისის N01241671 წერილით, მიზანშეწონილად მიიჩნევს, განსახილველი სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გავრცელდეს ფაქტობრივი გზის ნაწილზე, N01.72.14.039.076; N01.72.14.337.002 და N01.72.14.092.868; N01.72.14.038.480; N01.72.14.038.134 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს შორის არსებულ დაურეგისტრირებელ სივრცეზე, იმგვარად, რომ სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) პარამეტრი (სიგანე) შენარჩუნდეს 8.5 მეტრი.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო არეალის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება საცხოვრებელი ზონა (სზ).

აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება საპროექტო არეალის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1)

ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დილოში, ნიკო ბურის ქუჩა N22ა-ში; ქალაქ თბილისში, სოფელი დილოში, ნიკო ბურის ქუჩა N22-ში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: N01.72.14.038.480; N01.72.14.092.868) ნაწილზე, ასევე, ქალაქ თბილისში, სოფელ დილოში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.038.134) მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება, ასევე საპროექტო არეალის მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

ე) ქალაქ თბილისში, სამრეწველო დასახლება, მე-2 ქუჩა, მე-3 გასასვლელი N3-ის მიმდებარე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.11.025.047) მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

N01.17.11.025.047 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სატრანსპორტო ზონის კორექტირება არსებული, ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2024 წლის 11 ივნისის N01241633253 წერილით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არ არის წინააღმდეგი მოთხოვნილ მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმდეს და ამასთან, მიზანშეწონილია, რომ სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) დაკორექტირდეს საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე, კერძოდ, განსახილველი ტერიტორიის დასავლეთით სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) გავრცელდეს N01.17.11.025.008 და N01.17.11.025.047 საკადასტრო ერთეულებს შორის არსებულ ფაქტობრივ საქვეითე სივრცეზე, ხოლო ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით გავრცელდეს ფაქტობრივ გზაზე არსებული სატრანსპორტო ზონის კონტურის დაცვით.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო არეალის მიმდებარე არსებულ N01.17.11.025.008 და N01.17.11.025.046 საკადასტრო ერთეულების ნაწილებსა და დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2).

აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება, საპროექტო არეალის მიმდებარე არსებულ N01.17.11.025.008 და N01.17.11.025.046 საკადასტრო ერთეულების ნაწილებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სამრეწველო დასახლება, მე-2 ქუჩა, მე-3 გასასვლელი N3-ის მიმდებარე არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.11.025.047) მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ასევე, N01.17.11.025.008 და N01.17.11.025.046 საკადასტრო ერთეულების ნაწილებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

ვ) ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.014.411) მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

N01.14.16.014.411 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს პრივატიზება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 17 ივნისის 01241693154 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა რომ საპროექტო ტერიტორიაზე მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო არეალის მიმდებარედ არსებულ N01.14.16.014.408 და N01.14.16.015.408 საკადასტრო ერთეულების ნაწილებზე ხარვეზის სახით რჩება გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება, საპროექტო არეალის მიმდებარედ არსებულ N01.14.16.014.408 და N01.14.16.015.408 საკადასტრო ერთეულების ნაწილებზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

შემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.014.411), ასევე, N01.14.16.014.408 და N01.14.16.015.408 საკადასტრო ერთეულების ნაწილებზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

ზ) ქალაქ თბილისში, სანავარდოს ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.13.008.078) მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით ცვლილება.

ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს შემოხსენებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის დარეგისტრირება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 24 ივნისის N0124176699 წერილით, ქალაქ თბილისის მერიის ერთიანი რუკისა და განცხადებაში წარმოდგენილი ფოტომასალის გათვალისწინებით, საპროექტო მონაკვეთზე სატრანსპორტო ქვეზონა ვრცელდება ფაქტობრივ შენობა-ნაგებობასა და ღობეზე. შესაბამისად, განსახილველ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ს (ტზ-1) არ გააჩნია სატრანსპორტო ფუნქცია. ამასთან, მიზანშეწონილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) კონფიგურაცია დაკორექტირდეს და გაუქმდეს საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ, N01.12.13.008.062 და N01.12.13.008.078 რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო საზღვრებში.

შემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სანავარდოს ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.13.008.078) მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ასევე, N01.12.13.008.062 და N01.12.13.008.078 საკადასტრო ერთეულების ნაწილებზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით ცვლილება მისაღებია;

თ) ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, III მიკრორაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.39.026.007) საცხოვრებელი ზონა 6-ისა (სზ-6) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული გამწვანებისა (შიდაკვარტალური) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

N01.19.39.026.007 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის

ცვლილების მიზანს წარმოადგენს 179-ე სკოლის მშენებლობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 24 ივნისის N01241763129 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, რომ საპროექტოდ წარმოდგენილ ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, III მიკრორაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.39.026.007) საცხოვრებელი ზონა 6-ისა (სზ-6) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული გამწვანებისა (შიდაკვარტალური) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

ი) ქალაქ თბილისში, ლეო და ნოდარ გაბუნიების II შესახვევი N1-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.02.007.013) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

N01.14.02.007.013 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ახალი სკოლის მშენებლობა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 27 მაისის N01241483577 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, რომ საპროექტო არეალზე მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გავრცელებული შიდაკვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანება.

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო არეალის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანება.

აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება საპროექტო არეალის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლეო და ნოდარ გაბუნიების II შესახვევი N1-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.02.007.013) ნაწილსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა მისაღებია;

კ) ქალაქ თბილისში, თემქის დასახლების IV კვარტალის კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.12.03.007.613) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

N01.12.03.007.613 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს პრივატიზება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 18 ივნისის N01241702886 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე

განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო არეალის მიმდებარედ არსებულ, N01.12.03.007.115, N01.12.03.007.088, N01.12.03.007.119, N01.12.03.007.095, N01.12.03.007.080, N01.12.03.007.082, N01.12.03.007.086, N01.12.03.007.083, N01.12.03.007.079, N01.12.03.007.081, N01.12.03.007.085, N01.12.03.007.084, N01.12.03.007.078, N01.12.03.007.113, N01.12.03.007.607, N01.12.03.008.006, N01.12.03.007.049, N01.12.03.007.050 საკადასტრო ერთეულებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სამრეწველო ზონა 1 (ს-1).

აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება საპროექტო არეალის მიმდებარედ არსებულ N01.12.03.007.115, N01.12.03.007.088, N01.12.03.007.119, N01.12.03.007.095, N01.12.03.007.080, N01.12.03.007.082, N01.12.03.007.086, N01.12.03.007.083, N01.12.03.007.079, N01.12.03.007.081, N01.12.03.007.085, N01.12.03.007.084, N01.12.03.007.078, N01.12.03.007.113, N01.12.03.007.607, N01.12.03.008.006, N01.12.03.007.049, N01.12.03.007.050 საკადასტრო ერთეულებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და საცხოვრებელი ზონა 6-ით (სზ-6) ცვლილება.

შემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, თემქის დასახლების IV კვარტალის კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.12.03.007.613), ასევე, N01.12.03.007.115, N01.12.03.007.088, N01.12.03.007.119, N01.12.03.007.095, N01.12.03.007.080, N01.12.03.007.082, N01.12.03.007.086, N01.12.03.007.083, N01.12.03.007.079, N01.12.03.007.081, N01.12.03.007.085, N01.12.03.007.084, N01.12.03.007.078, N01.12.03.007.113, N01.12.03.007.607, N01.12.03.008.006, N01.12.03.007.049, N01.12.03.007.050) საკადასტრო ერთეულებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ითა (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღებია;

ლ) ქალაქ თბილისში, სოფელ პატარა ლილოში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N81.08.03.543) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სასოფლო-სამეურნეო ზონით (სოფზ) ცვლილება.

N81.08.03.543 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ფაქტობრივი მდგომარეობის ასახვა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2024 წლის 16 იანვრის N01240162875 წერილით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საპროექტო ტერიტორიაზე ფაქტობრივი გზის კონფიგურაციისა და პარამეტრების შესაბამისად გავრცელდეს სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო არეალის მიმდებარედ არსებულ N81.08.32.479, N81.08.03.618 საკადასტრო ერთეულების ნაწილებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ხარვეზის სახით რჩება სარეკრეაციო ზონა (რზ), სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და სასოფლო-სამეურნეო ზონა (სოფზ).

აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო

სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება საპროექტო არეალის მიმდებარედ არსებულ N81.08.32.479, N81.08.03.618 საკადასტრო ერთეულების ნაწილებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონის (რზ), სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) სარეკრეაციო ზონით (რზ), სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და სასოფლო-სამეურნეო ზონით (სოფზ) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდები: N81.08.03.543) ნაწილზე, ასევე, N81.08.32.479, N81.08.03.618 საკადასტრო ერთეულების ნაწილებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონის (რზ), სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) სარეკრეაციო ზონით (რზ), სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და სასოფლო-სამეურნეო ზონით (სოფზ) ცვლილება, ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

მ) ქალაქ თბილისში, სანავარდოს ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.13.008.078) მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონით ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა.

N01.12.13.008.078 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს საპროექტო არეალის დარეგისტრირება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2024 წლის 25 ივნისის N01241773138 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა, რომ საპროექტო არეალზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით გათვალისწინებული სარეკრეაციო ზონა 1 (რზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სანავარდოს ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.13.008.078) მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონით ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა მისაღებია;

ნ) ქალაქ თბილისში, თენგის შეშელიძის ქუჩა N1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.11.19.001.026) მოთხოვნილია სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სატრანსპორტო ზონა 2-ით (ტზ-2) ცვლილება.

N01.11.19.001.026 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს ტერიტორიაზე არსებული გაზგასამართი სადგურის რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია.

მიწის ნაკვეთზე აღნიშნული ავტომობილების ობიექტი, კერძოდ, გაზგასამართი სადგური აშენებულია შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციით და ფუნქციონირებს წლების განმავლობაში.

ვინაიდან სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2) წარმოადგენს სატრანსპორტო ქვეზონას, რომელიც მოიცავს თბილისის განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში ან/და საზღვრებს გარეთ არსებულ/დაგეგმილ მიწისზედა და მიწისქვეშა ავტოსადგომებს, ავტოგასამართ სადგურებს ან ავტოგასამართ კომპლექსებს, აირგასამართ ან აირსავსებ საკომპრესორო სადგურებს, გზატკეცილების გასხვიების ზოლებს და სადგურებს (მათ შორის აეროსადგურები, საწყლოსნო სადგურები, ავტოსადგურები, რკინიგზის სადგურები), მოთხოვნილი ფუნქციური ზონირება შეესაბამება მიწის ნაკვეთზე არსებულ განაშენიანების სახეობას და ფუნქციური ზონის ცვლილებით შესაძლებელია მიეცემა საშუალება საკუთრების ჯეროვნად

გამოყენებისა და მასზე არსებული ფუნქციის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, 2024 წლის 13 ივნისის N0124165864 წერილით, ფაქტობრივი სიტუაციისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არსებული მდგომარეობის გთვალისწინებით, მიზანშეწონილია განსახილველი მონაკვეთი განვითარდეს განცხადებაში მოთხოვნილი ფუნქციით და მასზე გავრცელდეს სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, საპროექტო არეალის მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, რომელიც ფაქტობრივი მდგომარეობით წარმოადგენს გზას, მოასფალტებულ ტერიტორიას, ხარვეზის სახით რჩება სამრეწველო ზონა 1 (ს-1). აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება საპროექტო არეალის მიმდებარედ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, სამრეწველო ზონა 1 (ს-1) ცვლილება სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, თენგიშ შეშელიძის ქუჩა N1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.11.19.001.026) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სატრანსპორტო ზონა 2-ითა (ტზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება მისაღებია;

ო) ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.555) მოთხოვნილია სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

N01.72.14.009.555 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე ფუნქციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს სპორტული კომპლექსის განთავსება, სადაც მოეწყობა ახალი სპორტული I-II კატეგორიის ველოდრომის მშენებლობა, რომელიც გათვლილი იქნება 1800 მაყურებელზე და განთავსებული იქნება 250 მეტრიანი სარბოლო ტრასა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2023 წლის 19 სექტემბრის N01232622995 წერილით, თანახმაა, რომ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

მოთხოვნილი სახით ფუნქციური ზონის ცვლილების შემდგომ, ინტერაქტიულ რუკაზე ხარვეზის სახით რჩება N01.72.14.009.555 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე საცხოვრებელი ზონა (სზ), ხოლო N01.72.14.009.338 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე - სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

აღნიშნული ხარვეზის გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ხორციელდება N01.72.14.009.555 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე საცხოვრებელი ზონის (სზ) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და N01.72.14.009.338 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ის (სზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში

მდებარე მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.555) და N01.72.14.009.338 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და საცხოვრებელი ზონის (სზ) სპეციალური ზონა 1-ითა (სპეცზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა მისაღები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ბ.ა“ და „ე.ბ“ ქვეპუნქტებისა და „ტექნიკური რეგლამენტის-დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველი პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად, შემდეგ საკითხებზე:

ა) ქალაქ თბილისში, არსენ ოქროჯანაშვილის I შესახვევი N8-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.12.01.445), ასევე, N72.12.01.985, N72.12.01.407, N72.12.01.984, N72.12.01.765, N72.12.01.766, N72.12.01.165, N72.12.01.654, N72.12.01.231, N72.12.01.733, N72.12.01.241, N72.12.01.243, N72.12.01.458, N72.12.01.457 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა;

ბ) ქალაქ თბილისში, ინტენსიფიკაციის გზის მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.16.014.446) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) მოხსნა, იმ პირობით, რომ აუქციონზე შეძენილ ქონებაზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.015.270) განხორციელდება სრულ საპრივატიზებო ღირებულებასა და აუქციონის დროისთვის ამავე მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) გათვალისწინებით დადგენილ ღირებულებას შორის სხვაობის გადახდა;

გ) ქალაქ თბილისში, გლდანში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.13.486.002) სატყეო ზონის სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სატყეო ზონის მოხსნა;

დ) ქალაქ თბილისში, სოფელ დილოშში, ნიკო ბურის ქუჩა N22ა-ში; ქალაქ თბილისში, სოფელ დილოშში, ნიკო ბურის ქუჩა N22-ში არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: N01.72.14.038.480; N01.72.14.092.868) ნაწილზე, ასევე, ქალაქ თბილისში, სოფელ დილოშში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.14.038.134) მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით (სზ) ცვლილება, ასევე საპროექტო არეალის მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საცხოვრებელი ზონის (სზ) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება;

ე) ქალაქ თბილისში, სამრეწველო დასახლება, მე-2 ქუჩა, მე-3 გასასვლელი N3-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.11.025.047) მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ასევე, N01.17.11.025.008 და N01.17.11.025.046 საკადასტრო ერთეულების ნაწილებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება და საცხოვრებელი ზონა 2-ის (სზ-2) სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება;

ვ) ქალაქ თბილისში, ონკოლოგიურ ცენტრსა და ინტენსიფიკაციის გზას შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.16.014.411), ასევე, N01.14.16.014.408 და N01.14.16.015.408 საკადასტრო ერთეულების ნაწილებზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

ზ) ქალაქ თბილისში, სანავარდოს ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.13.008.078) მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე, ასევე, N01.12.13.008.062 და N01.12.13.008.078 საკადასტრო ერთეულების ნაწილებზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონით ცვლილება;

თ) ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება 3, III მიკრორაიონში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.39.026.007) საცხოვრებელი ზონა 6-ისა (სზ-6) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) სპეციალური ზონა 1-ით (სპეცზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული გამწვანებისა (შიდაკვარტალური) და სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

ი) ქალაქ თბილისში, ლეო და ნოდარ გაბუნების II შესახვევი N1-ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.02.007.013) ნაწილსა და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული ურბანული (შიდაკვარტალური) გამწვანების მოხსნა;

კ) ქალაქ თბილისში, თემქის დასახლებაში, IV კვარტალის კორპუსი N7-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდები: N01.12.03.007.613), ასევე, N01.12.03.007.115, N01.12.03.007.088, N01.12.03.007.119, N01.12.03.007.095, N01.12.03.007.080, N01.12.03.007.082, N01.12.03.007.086, N01.12.03.007.083, N01.12.03.007.079, N01.12.03.007.081, N01.12.03.007.085, N01.12.03.007.084, N01.12.03.007.078, N01.12.03.007.113, N01.12.03.007.607, N01.12.03.008.006, N01.12.03.007.049, N01.12.03.007.050) საკადასტრო ერთეულებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) საცხოვრებელი ზონა 6-ითა (სზ-6) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა;

ლ) ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდები: N81.08.03.543) ნაწილზე, ასევე, N81.08.32.479, N81.08.03.618 საკადასტრო ერთეულების ნაწილებსა და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონის (რზ), სატრანსპორტო ზონა 1-ისა (ტზ-1) და სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) სარეკრეაციო ზონით (რზ), სატრანსპორტო ზონა 1-ითა (ტზ-1) და სასოფლო-სამეურნეო ზონით (სოფზ) ცვლილება; ცვლილებას ექვემდებარება გამწვანებული ტერიტორიების რუკაც;

მ) ქალაქ თბილისში, სანავარდოს ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.12.13.008.078) მომიჯნავე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) საცხოვრებელი ზონით ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 1-ის (რზ-1) მოხსნა;

ბ) ქალაქ თბილისში, თენგიზ შეშელიძის ქუჩა N1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.11.19.001.026) და მიმდებარედ არსებულ დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სამრეწველო ზონა 1-ის (ს-1) სატრანსპორტო ზონა 2-ითა (ტზ-2) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება;

ო) ქალაქ თბილისში, დიდმის სასწავლო საცდელ მეურნეობაში მდებარე მიწის ნაკვეთსა (საკადასტრო კოდი: N01.72.14.009.555) და N01.72.14.009.338 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე სარეკრეაციო ზონა 2-ისა (რზ-2) და საცხოვრებელი ზონის (სზ) სპეციალური ზონა 1-ითა (სპეცზ-1) და სატრანსპორტო ზონა 1-ით (ტზ-1) ცვლილება, ასევე, გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 2-ის (რზ-2) მოხსნა.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე - მერი) ირაკლი ხმაღაძეს.

3. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა განიხილავს შემდეგ საკითხებს:

ა) 2024 წლის 4 მარტის N01240642175-67 განცხადებით ბაადურ ჯინჭარაძემ (პ/ნ: 01024050001) მოითხოვა ქალაქ თბილისში, არსენ ოქროჯანაშვილის I შესახვევი, N8-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N72.12.01.445) გამწვანებული ტერიტორიების რუკით არსებული სარეკრეაციო ზონა 3-ის (რზ-3) მოხსნა;

